



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხატია კულატამიშვილი

**ელექტრონული ბიზნესის გავლენა საერთაშორისო
კომპანიების მართვაზე**

**საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა**

**ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

ხელმძღვანელი: გიორგი ლლონტი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2018

ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ელექტრონული ბიზნესის გავლენას საერთაშორისო კომპანიების მართვაზე. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფარგლებში, ინტერნეტი არამხოლოდ მნიშვნელოვანი რესურსია, არამედ სხვადასხვა საქმიანობის მართვის თითქმის განუყოფელი ნაწილია. ეს ყოველივე, კი აისახა დროისა და მატერიალური დანახარჯების ეკონომიაზეც.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება, ელექტრონული ბიზნესის გავლენას, საერთაშორისო კომპანიების მართვაზე.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია საერთაშორისო ვაჭრობის არსი, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები. კერძოდ, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ტენდენციები, საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი მოტივები და ფუნქციები.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია საქართველოში არსებული ბიზნეს გარემო. კერძოდ, ის სოციალური და ტექნოლოგიური ფაქტორები, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის გრძელვადიან პერსპექტივებზე

ნაშრომის მესამე თავი ეხება კომპანია WALMART-ს და ამ კომპანიის საცალო ვაჭრობის ინოვაციურ გზებს.

დასკვნაში წარმოჩინებულია კვლევის შედეგები.

Annotation

Khatia kulatamishvili

Influence of electronic business on management of international companies

Presented master's thesis is dedicated to the influence of electronic business management of international companies. Within the scope of scientific and technological progress, the Internet is not only an important resource but also an integral part of the management of various activities. All of this has reflected on the economy of time and material expenses.

Presented master's work deals with the influence of e-business, management of international companies.

In the first chapter of the work, the essence of international trade, direct and portfolio investments is discussed. Namely, trends in the improvement of the business environment, the main motives and functions of international trade.

The second chapter of the work examines the existing business environment in Georgia. In particular, it is the social and technological factors that have great influence on the long-term perspectives of the country

The third chapter of the work deals with Walmart and innovative ways of retailing this company.

The results of the survey are presented in the conclusion

შინაარსი

შესავალი	5
თავი 1. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის პრობლემატიკა	7
1.1 საერთაშორისო ბიზნესის არსი	7
1.2 საერთაშორისო კომპანიების მართვის სირთულეები	14
თავი 2. თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართულობა საერთაშორისო ბიზნესში.	19
2.1 ინტერნეტ ბიზნესის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები	19
2.2 იუსტიციის სახლი როგორც მართვის ობიექტი	27
თავი 3. ვოლმარტი როგორც კვლევის ობიექტი	41
3.1 ელექტრონული ბიზნესის ტიპები	41
3.2 ელექტრონული ბიზნესის საკანონმდებლო ჩარჩო	51
3.3 ვოლმარტი	57
დასკვნა	65
გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა	67

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე მსოფლიოში მეტად აქტუალურია ბიზნესში ელექტრონული აპლიკაციების გამოყენების საკითხი. წარმატებული კომპანიები სტრატეგიულ უპირატესობას აღწევენ ქსელურ კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე აგებული ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ბიზნესის წყალობით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვანად იზრდება ელექტრონული ბიზნესის როლი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს რაც შეიძლება მოქნილი გახადოს მომხმარებლისათვის საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რაც საშუალებას მისცემს გახდეს მეტად კონკურენტ უნარიანი ბაზარზე.

თანამედროვე ბიზნესი ინტერნეტის გარეშე წარმოუდგენელია, ელექტრონული ბიზნესის გამოყენებამ საერთაშორისო ვაჭრობაში უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს პასუხი : რა უპირატესობა გააჩნია ელექტრონულ კომერციას ბიზნეს პროცესებისათვის? ვინ შეიძლება იყოს ეს ელექტრონული კომერციით დაკავებული? რა მომსახურების განევა შეიძლება ელექტრონული მართვის გამოყენებით ? რა კავშირი შეიძლება დამყარდეს სხვადასხვა ობიექტებს შორის ელექტრონული წვდომის საფუძველზე?

ელექტრონული ბიზნესის აქტუალობა ასევე დაკავშირებულია მის გამოყენებასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფორმით ფირმის, მის

მიერ წარმოებული საქონლის და მომსახურების შესახებ ცნობების გავრცელებისათვის, რეკლამირებისთვის და ასევე მარკეტინგული კვლევების ინსტრუმენტის როლში.

კვლევის მიზანი და ამოცანები. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს ელექტრონული ბიზნესის გავლენა კომპანიებზე, რა წარმატება შეიძლება მოუტანოთ მათ, ელექტრონული კავშირების დამყარებამ როგორც მომხმარებელთან ასევე პარტნიორებთანაც. დასახული მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებად დავისახეთ:

-საერთაშორისო კომპანიების მართვის ანალიზი.

-საერთაშორისო კომპანიების მართვაში ელექტრონული ბიზნესის როლის გამოვლენა.

-ელექტრონული ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლება საერთაშორისო კომპანიების მართვაში.

-საერთაშორისო კომპანიის WALMART-ის მაგალითზე წარმატების მიღწევის გზები ელექტრონული ბიზნესის მეშვეობით

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა საერთაშორისო კომპანია WALMARTI, რომელიც ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა გაყიდვების მხრივ. ყურადღება გავამახვილეთ სოციალური მარკეტინგის როლზე. სწორედ, მისი დახმარებით ხდება მომხმარებლისა და ბიზნესის საჭიროებების, ღირებულებებისა და მოთხოვნილებების გაზიარება სოციალური ქსელების საშუალებით კომპანიებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ინდივიდუალური მიმდევრები. ეს პიროვნული ურთიერთქმედება იწვევს, ლოიალობის განცდას მიმდევრებსა და პოტენციურ კლიენტებში.

კვლევის მეთოდოლოგია. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულია საერთაშორისო კომპანიების კვლევები, განხილულია ასევე ელექტრონული ბიზნესის როგორც ქვეყნის ეკონომიკისათვის ხელშემწყობი ფაქტორი, ელექტრონული ბიზნესის სტრატეგიები, აქტიური მიდგომა და ასევე პასიური მიდგომები.....

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა.სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრა იმ ფაქტით, რომ შევეცადეთ, წარმოგვედგინა ელექტრონული ბიზნესის განუმომელი როლი თანამედროვე ეკონომიკაში და დაგვენახა ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც ყოველწლიურად ფორმირდება ნოვაციური კუთხით. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კომპიუტერზე ნაბეჭდ -- გვერდზე. შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურული წყაროების ნუსხისაგან.

თავი 1. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის პრობლემატიკა

1.1 საერთაშორისო ბიზნესი

ბიზნესი ინგლისური სიტყვაა და ქართულად საქმეს ნიშნავს. თუმცა, დღესდღეობით. თავისი პირდაპირი მნიშვნელობით მას, თითქმის, ვერავინ აღიქვამს. იგი ყველასათვის მოგების მიღების მიზნით წარმართული საქმიანობაა.

რაც შეეხება ვაჭრობას, დღეს ძალიან ცოტა თუ აცნობიერებს, რომ ბიზნესი და ვაჭრობა, ფაქტობრივად, ერთი და იგივე ეკონომიკური შინაარსის მატარებელია და მათ აბსოლუტურად განყენებულ ცნებებად აღიქვამს. არადა ვაჭრობა, ჩემი აზრით, დღევანდელი ბიზნესის წინაპარია. არა მგონია ადრეულ საუკუნეებში ვინმეს სცოდნოდა „ბიზნესის“ არსებობის შესახებ. აი ვაჭრობა კი, პრაქტიკულად ოდითგანვე არსებობდა. ადამიანი ყოველთვის ყიდდა რაღაცას, მაგრამ საზღაურს ნამდვილად არ წარმოადგენდა ყოველთვის ფულად ექვივალენტი. შეიძლება ყოფილიყო იგივე ღირებულების სხვა ნივთი , ს უფრო ურთიერთ გაცვლას წარმოადგენდა მაგრამ ვფიქრობ ვაჭრობის საფუძვლები მაინც აქედან მოდის საინტერესოა, რით განსხვავდება უბრალო ვაჭრობა საგარეო ვაჭრობისაგან? საქმე იმაშია, რომ თუკი ვაჭრობა ქვეყნის შიგნით განხორციელებული კომერციული ოპერაციაა, საგარეო ვაჭრობა ქვეყნის საზღვრებს სცდება და ხშირად, მთელ

მსოფლიოსაც მოიცავს. ყველა ბიზნესმენს ეგრეთწოდებულ „მოვაჭრეს“, რომელიც წარმატებით ახორციელებს თავის საქმიანობას ქვეყნის შიგნით, ერთხელაც უჩნდება სურვილი თავისი პროდუქციის მეშვეობით შევიდეს მთელი მსოფლიოს ბაზრებზე, სხვადასხვა ქვეყანაში და დაიკავოს მისთვის სასურველი ბაზრის ნაწილი. რამ შეიძლება განაპირობოს უცხოური ბაზრის ათვისების სურვილი? ამის მიზეზი, ძირითადად, ორი ყველაზე გავრცელებული ფაქტორია. ეს გახლავთ ადგილობრივი ბაზრების გაჯერება და უცხოურ ბაზრებზე მეტი მოგების მიღების პერსპექტივა. მოვიყვანოთ, მაკდონალდსის მაგალითი, რომელიც აშშ-ში ერთი ჰამბურგერების გამყიდველი გახლდათ. ერთ დღესაც მას ბედმა გაუღიმა, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, და დღეს McDonald's Corporation ერთ-ერთ უმსხვილეს და უპოპულარულეს კომპანიას წარმოადგენს სწრაფი კვების სფეროში, რომელიც ლიცენზიის განსაკუთრებული სახის, ფრენჩაიზინგის მეშვეობით მთელს მსოფლიოში ყიდის უფლებას საკუთარი წარმოების ტექნოლოგიების, ბრენდის, სავაჭრო ნიშნის და სხვა არამატერიალური აქტივების გამოყენებაზე. [ლობუანიძე, ვასილ, ლამპარი 2009]

ვთვლი რომ, ბიზნესი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია ეკონომიკური განვითარებისა. თუკი მწარმოებელს არ ექნება იმედი, რომ მისი პროდუქცია გაიყიდება, მას არც მისი წარმოების სტიმული გაუჩნდება. თუმცადა, ამის საშიშროება მსოფლიოში დღესდღეობით არ არსებობს. ადამიანთა მოთხოვნილებები სულ უფრო იზრდება. მთელი მსოფლიოს წარმატებული კომპანიები ცდილობენ მათი მომხმარებლების დაკმაყოფილებას, რადგან უზარმაზარ კონკურენციას არსებობს და იმარჯვებს ის, რომელიც ზუსტად შეარჩევს თავის სეგმენტს და ამ სეგმენტს მიზნობრივ მომხმარებელს სწორედ მისთვის სასურველი ხარისხისა და ფასის პროდუქციას შესთავაზებს. ნავიდა ის დრო, როდესაც გამყიდველის ბაზარს ჰქონდა ადგილი და მყიდველი სხვა არჩევანის არარსებობის გამო იძულებული იყო მხოლოდ მოცემული საქონელი შეეძინა.

დღეს, ჩვენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვცხოვრობთ, სადაც იმარჯვებს მხოლოდ ის, რომელიც ყველაზე უკეთ და სწრაფად შეძლებს მოცემული

სიტუაციისადმი ადაპტაციას. რომელიც ყველაზე კარგად შეიცნობს საკუთარი მიზნობრივი სეგმენტის ქვეცნობიერს და შეძლებს მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი აიძულებს ბიზნესს განახორციელოს საერთაშორისო ოპერაციები. კომპანიები აღარ შემოიფარგლებიან თავიანთი ქვეყნის საზღვრებით და შეუძლიათ ნებისმიერი ბიზნესოპერაცია განახორციელონ ნებისმიერ ქვეყანაში. საერთაშორისო ბიზნესი თავისი განვითარების პიკს აღწევს ტრანსნაციონალურ კორპორაციებში, რომელთა საქმიანობა მოიცავს საერთაშორისო ბიზნესის სამივე ფორმას – საერთაშორისო ვაჭრობას, პორტფელური და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

საქართველოს ბიზნესგარემოს განვითარება დადებითი ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია საკანონმდებლო რეფორმებით (საგადასახადო, საბაჟო, ლიცენზიები და ნებართვები და სხვა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო სფეროს პროცედურული ნაწილების მეტი დახვეწა/გამარტივება და შესაბამისი ინფორმირებულობის დონის გაზრდა.

ქვეყნის ეკონომიკის წარმატების უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებული როლი, ბუნებრივია სახელმწიფოს აკისრია, თუმცა წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია გარემოს გაუმჯობესებაში წვლილი შეიტანოს და ძალისხმევა გასწიოს საზოგადოების სხვა სექტორებმაც - მას-მედიამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და უშუალოდ კერძო სექტორმა. [ლობუანიძე, ვასილ. ლამპარი 2009]

მიუხედავად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ტენდენციებისა, საქართველოს ბიზნესკლიმატი კვლავაც მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა წარმატებით მიღწევისათვის აუცილებელია გამართული დიალოგის პრაქტიკის დანერგვა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მისი მარტივად აღქმის უზრუნველყოფა. ასევე საკმაოდ დაბალია მენარმეობრივი უნარები, რაც ბუნებრივია თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების არსებობას

არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. პრობლემატურია შრომის ბაზარი - ერთი მხრივ, მაღალია უმუშევრობის დონე, მეორე მხრივ კი, დამქირავებელს ძალიან უჭირს სასურველი კადრის მოძიება და დაქირავება. ისევ გამოცდილების, ტექნოლოგიის, საჭირო ბიზნესუნარების ან/და უბრალოდ ინფორმაციის არქონის გამო მრავალი კომპანია ვერ ახერხებს ვერც ადგილობრივ ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებას და, მით უმეტეს, ვერც საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას.

საერთაშორისო ვაჭრობა - საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების გაცვლა.

საერთაშორისო მართვის სისტემაში საერთაშორისო ორგანიზაციის ხუთი მიდგომა კულტურის ჩამოყალიბებაში გამოიყოფა:

- მასპინძელი ქვეყნის პირობების ადაპტაცია (ე.წ. "სახლის" მიდგომებით დომინირებს);
- "შენადნობი" (სათაურებისა და თვითაღიარების საქმიანობის სხვადასხვა მენეჯერული და კულტურული ასპექტების ერთგვარი სინთეზი);
- უნივერსალიზმი (განსხვავებული ნეიტრალური სტილის მიღება, მიღებული სხვადასხვა კულტურებით);
- კომბინირებული მიდგომა (საერთაშორისო ფირმის რეგიონალური ან გლობალური ბიზნეს გარემოსთან დაკავშირებით ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მიდგომის კომბინაცია)

პორტფელური ანუ საფინანსო ინვესტიციები ნიშნავს აქტივების შეძენას ფასიანი ქაღალდების სახით მოგების მიღების მიზნით, ამ სახის ინვესტიციებისათვის „ნორმალური“ რისკის პირობებში

უცხოური ინვესტიციები -პირდაპირი ინვესტიცია ქვეყნის წარმოებასა და ბიზნესში უცხოური საწარმოს მიერ კომპანიის შექმნით ან არსებული ბიზნესის გაფართოებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საპირისპირო ქმედებაა პორტფელური ინვესტიცია. პორტფელური ინვესტიცია არის პასიური ინვესტიცია სხვა ქვეყნის ფასიან ქაღალდებში, როგორცაა აქციები და ობლიგაციები.[ჩაგელიშვილი, ლ. 20036]

დღევანდელ პირობებში საქართველოს ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან განმოსაყვანად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციებს. განსაკუთრებით კი უცხოურ ინვესტიციებს. განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობასა და ხარისხზე დიდად იქნება დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ხვალინდელი დღე. თუკი დარგობრივ ჭრილში განვიხილავთ განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციებს, პირველ ადგილზეა მრეწველობა, სადაც მთელი ინვესტიციების დაახლოებით 32%-ია განხორციელებული, მეორე ადგილზეა კავშირგაბმულობა, ხოლო მესამე ადგილზე კვების მრეწველობა.

როგორც უცხოურ ინვესტორთაგან გახდა ცნობილი, ისინი საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად ტურიზმს, ტრანსპორტს, კვების მრეწველობას და კომუნიკაციებს ასახელებენ., თუმცა ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციები ნაკლებად ხორციელდება, ასევე ნაკლებია ინვესტიციები ტრანსპორტის სფეროშიც. ამიტომ ეს დარგები სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას საჭიროებენ. რაც შეეხება კვების მრეწველობას, ამ დარგის უპირატესობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ დარგში ყველაზე მეტი პროექტი იქნა განხორციელებული. ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიციები იქნა განხორციელებული კავშირგაბმულობაშიც.

საქართველო ინვესტიციების განხორციელების მხრივ, მაღალრისკიან ქვეყანათა რისკს მიეკუთვნება, თუმცა როგორც ინვესტორთაგან გახდა ცნობილი, მათი დიდი ნაწილისათვის რისკის ფაქტორი არცთუ ისე მნიშვნელოვანი იყო. საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან უფრო აქტიური მოქმედება, საქმიანი კონტაქტები საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიებთან, რათა ისინი მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი უცხოური ინვესტიციების დაზღვევის საქმეში და საბოლოო ჯამში რისკის დონე მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.[ჩაგელიშვილი,ლ.2003წ]

საქართველო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება, სადაც მიმდინარეობს სისტემური ტრანსფორმაცია და სტრუქტურული ცვლილებები, ამიტომაც საქართველოს ბიზნესისა და საინვესტიციო გარემო ხასიათდება როგორც უპირატესობებით, ისე მთელი რიგი ხარვეზებით, რომლებიც

სერიოზულ პრობლემებს უქმნის უცხოურ ინვესტორებს და ადგილობრივ ბიზნესმენებსაც. ყოველივე ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ღონისძიებების გატარება, რათა თავიდან ავიცილოთ უარყოფითი შედეგები.

საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ვინაიდან ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. იგი მშვიდობის ფაქტორია. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი თავი. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქციის იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო დიდი ნაწილი მისი ეროვნული პროდუქციისა არის ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში. [ლობუანიძე, ვ. ლამპარი 2009წ]

საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმული კომპანიები გამოიყენებენ PEST-ანალიზს რომელიც ეხმარება გამოიკვლიონ ახალი ბაზრის რისკის ფაქტორები PEST-ანალიზი წარმოადგენს აკრონიმს პოლიტიური (Political), ეკონომიკური (Economical), სოციალური (Social) და ტექნოლოგიური (Technological) ანალიზის გამოსახატავად. ის გამოიყენება ამ ოთხი გარე ფაქტორის ბიზნესთან ურთიერთკავშირის შესაფასებლად. PEST-ანალიზი ეხმარება ბიზნესებს განსაზღვრონ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენის არეალი მათ გრძელვადიან საქმიანობაზე. მას ხშირად ისეთ მეთოდებთან ერთად იყენებენ, როგორებიცაა SWOT-ანალიზი და პორტერის 5 ძალა. განვიხილოთ თითოეული ფაქტორი ცალ-ცალკე:

- **პოლიტიკური** – იგი ასახავს რამდენად ახდენს ბიზნეს-გარემოსა და სავაჭრო მარკეტებზე გავლენას მთავრობის რეგულაციები და საკანონმდებლო

ჩარჩოები; რა მდგომარეობაა ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის, საგადასახადო პრინციპების, სავაჭრო და უსაფრთხოების რეგულაციების, შრომის კოდექსის კუთხით.

- **ეკონომიკური** – ამ ფაქტორის საშუალებით ბიზნესები აფასებენ ისეთ ეკონომიკურ პირობებს, რომლებსაც შეუძლია კომპანიის მუშაობა დადებითი ან უარყოფითი მიმართულებით შეცვალოს. იგი მოიცავს ინფლაციას, საპროცენტო განაკვეთებს, ეკონომიკური ზრდას, უმუშევრობის დონეს და ა.შ.

- **სოციალური** – სოციალური ფაქტორის საშუალებით ბიზნესმა შეიძლება შეაფასოს საკუთარი ბაზრების სოციო-ეკონომიკური გარემო. იგი ითვალისწინებს მომხმარებელთა დემოგრაფიას, კულტურულ შემოღვევებს, ცხოვრების სტილსა და განათლებას. მისი დახმარებით კომპანიამ შეიძლება დაადგინოს როგორ ყალიბდება მომხმარებელთა საჭიროებები და რა სტიმული უბიძგებთ მათ ყიდვისკენ.

- **ტექნოლოგიური** – ტექნოლოგიას შეუძლია პოზიტიურად ან ნეგატიურად იმოქმედოს პროდუქტის/მომსახურების პოზიციონირებაზე. ტექნოლოგიური პროგრესი, ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლი, ინტერნეტის როლი, მთავრობის მიერ ტექნოლოგიის კვლევაზე განეული ხარჯი – ეს ყველაფერი ტექნოლოგიურ ფაქტორებად მოიაზრება.

PEST-ანალიზის გავრცობილ ფორმას წარმოადგენს PESTLE-ანალიზი, რომელიც ზემონახსენები ფაქტორების გარდა სამართლებრივ და გარემო ფაქტორებსაც განიხილავს. ისინი კომპანიაზე პოტენციურად გავლენის მოხდენის შესაძლებლობის მატარებელნი არიან.

- **სამართლებრივი** – მოიცავს შემდეგ ფაქტორებს: დისკრიმინაციული კანონები, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების კანონები, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონები, საავტორო უფლებისა და პატენტის მარეგულირებელი კანონები.

- **გარემო** – ითვალისწინებს ისეთი ფაქტორების ანალიზს, როგორებიცაა: ამინდისა და კლიმატის ცვლილება, დაბინძურებისა და

ნარჩენების გადამუშავების რეგულაციები, ნარჩენების მართვა, ეკო-მეგობრული პროდუქციის ან პრაქტიკის გამოყენება და ა.შ.

PEST-ანალიზის ფაქტორების მნიშვნელობა სხვადასხვა ტიპის კომპანიის შემთხვევაში განსხვავებულია. მაგალითად, სერვისზე ორიენტირებულ კომპანიებს უფრო სოციალური ფაქტორები აინტერესებთ, ხოლო გლობალურ კონტრაქტორებს – პოლიტიკური ფაქტორები.

1.2 საერთაშორისო კომპანიების მართვის სირთულეები

ადამიანური რესურსების მართვა თანამედროვე სანარმოთა მართვის სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც შეუძლია გაზარდოს ეფექტურობა, კონკურენტუნარიანობა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. საერთაშორისო კომპანიების მართვის სისტემა გლობალიზაციის კონტექსტში ახალ შესაძლებლობებს იძენს. ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების ადამიანური რესურსების მართვის გამოცდილება. კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია საერთაშორისო ორგანიზაციების ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ჩამოყალიბებაზე არსებული კულტურული ფაქტორების გავლენის საკითხი. ავტორი შეისწავლა დიდი საერთაშორისო კომპანიების ადამიანური რესურსების მართვის გამოცდილება, რომელიც ეფუძნება მონაცემებს, რომლებიც განიხილება და აანალიზებს ადამიანური რესურსების მართვის მახასიათებლებს, საერთაშორისო ორგანიზაციების საორგანიზაციო კულტურის საერთო თვისებებს.

ამჟამად, ადამიანური კაპიტალი არის ყველაზე ძვირფასი რესურსი ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, რომელიც ემსახურება, კონკურენტუნარიანობას, ეკონომიკურ ზრდას და ეფექტურობას. ადამიანური რესურსების მართვა პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის კაპიტალიზაციაზე. შემოგიერთი ექსპერტის აზრით, ეს არის ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს იყვნენ წარმატებულები სამუშაოებში, გარკვეულ საბაზრო სეგმენტში,

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული სანარმოს არამატერიალური აქტივების გამოყენებასთან.[ა.ედებერიძე 200176]

სწორად შექმნილი ადამიანური რესურსების მართვის სისტემ საშუალებას აძლევს კომპანიებს გამოიყენოს თავისი თანამშრომლების შიდა ინტელექტუალური პოტენციალი როგორც რეპროდუცირებადი რესურსი, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს კომპანიის ეფექტიანობასა და ხარისხობრივ გარდაქმნას. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული სანარმოს არამატერიალური აქტივების გამოყენებასთან.

მრავალეროვნული კომპანიების ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციები ძალზედ გართულებულია პერსონალისადმი ადაპტირებული პოლიტიკისა და პროცედურების საჭიროების მიხედვით, იმ ქვეყნების განსხვავებებს, სადაც თითოეული ფილიალი მდებარეობს . კერძოდ:

1. ქვეყნებს შორის კულტურული განსხვავებები,
2. ეკონომიკური განვითარებისა და საკანონმდებლო სისტემებში განსხვავებები

ეროვნული კულტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციის კულტურული ფასეულობების ჩამოყალიბებაში, თავის მხრივ, ეს ფასეულობები ინდივიდუალურ და ინდივიდთა და ჯგუფების საჭიროებებთან, დამოკიდებულებებთან და ნორმებთან არის დაკავშირებული. ისინი განსაზღვრავენ სხვადასხვა ქცევებს, რომლებიც ხელს უწყობენ როგორც ორგანიზაციის ეფექტურობის გაუმჯობესებას, ასევე მის შემცირებას.[ა.ედებერიძე. 20176]

ადამიანური კაპიტალი უნდა განიხილებოდეს, როგორც ეკონომიკური კატეგორია, რომელიც უკავშირდება კომპანიის ხარჯებს, შემოსავლების წარმოებას და პროდუქტიულობას. საინტერესოა იმის დანახვა, თუ რამდენად ეფექტურია საერთაშორისო კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ფინანსური ღირებულება კომპანიის საერთო განვითარებისა და ზრდის შედარებით. ამის

გაკეთება, განვიხილოთ, როგორ ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვა განსხვავდება ადამიანის რესურსების მართვისაგან თავიანთ ქვეყანაში.

გამოყოფის კონკრეტული თვისებები საერთაშორისო ადამიანური რესურსების მართვის, პირველ რიგში, გავლენას ახდენს:

- კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები,
- სტილი და მართვის,
- განსხვავებები შრომის ბაზარზე და შრომის ხარჯები
- პრობლემა გადაადგილების შრომის,
- ფაქტორები სამრეწველო ურთიერთობების,
- ეროვნული ორიენტაციის და კონტროლის ფაქტორი.

ხარისხის მართვა

- ტექნოლოგიებისა და მომსახურების უწყვეტი გაუმჯობესება;
- ინოვაციების დანერგვა;
- მომხმარებლის ორიენტაცია;
- ლატენტური (ფარული) კლიენტების საჭიროებების გამოვლენის უნარი;
 - პრობლემების გადაჭრის შემოქმედებითი (არასტანდარტული) მიდგომა;
 - პერსონალის მომზადება;
 - • თვითრეალიზაციისა და ყველასთვის თვითშეფასების პირობების შექმნა
 - • მათი მუშაობის მნიშვნელობისა და სარგებლობის ყველა თანამშრომლის ინფორმირება

კომპანიის ფუნქციონირება მთლიანად (ორგანიზაციის ღირებულებების ვალდებულება).

ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ სირთულეები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებს შეიძლება ჰქონდეთ ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებისა და ადამიანური რესურსების მართვისას.

პერსონალის განვითარებას ყველა საერთაშორისო კომპანიას სერიოზული პრობლემები აქვს. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯვარი კულტურული ურთიერთქმედების გავლენა. თანამშრომლები, მათი ეროვნული კულტურის მატარებლები, ორგანიზაციულ კულტურას მოუტანენ თავიანთ ტრადიციებს, ნორმებსა და ღირებულებებს, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული საერთო ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებისას. კონკრეტული ხარჯები

ასევე მოითხოვს სასწავლო პროცესის ორგანიზებას და პერსონალის განვითარებას. აუცილებელია გაითვალისწინოს იმ ქვეყნის ხარჯებიც, რომლებიც დაკავშირებულია ენის, კულტურის, ეროვნული ტრადიციებისა და საბაჟო სწავლებისათვის, სადაც ორგანიზაციის შტაბი მდებარეობს

ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების ხარჯებში აუცილებელია ერთჯერადი სამართლებრივი ჩარჩოების შემუშავების ხარჯები, რადგან განსხვავებული ქვეყნების საქმიანობა კანონში განსხვავდება. განსაკუთრებით დიდი სირთულეები წარმოიქმნება, როდესაც კომპანიის წარმოშობის ქვეყნის კულტურა და კანონები ეწინააღმდეგება მასპინძელი ქვეყნის კულტურასა და კანონებს. მაგალითად, აშშ-ის დასაქმების სააქციო აქტი, რომელიც კრძალავს სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას, ეწინააღმდეგება საუდის არაბეთის კანონებსა და საბაჟოებს ქალის როლთან დაკავშირებით. ამგვარი კონფლიქტები ქმნის პრობლემებს ამერიკულ ქალებს, რომელთაც სურთ თავიანთი ლიდერები თავიანთი შესაძლებლობები ჰქონდეთ საზღვარგარეთ, ისევე როგორც მათი მამრობით კოლეგებთან.

და ბოლოს, სხვადასხვა ქვეყნებში შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდება სამუშაო პირობები და საარსებო მინიმუმი, ისე საერთაშორისო კომპანიები ხშირად უნდა შეცვალოს მათი გადახდის სისტემები საჭიროებების შრომის ბაზარზე კონკრეტული მასპინძელი. ისინი უნდა გაითვალისწინოს თავისებურებანი

ადგილობრივი კანონები, რომელიც შეიძლება მოითხოვოს გადახდის საარსებო მინიმუმი, ან ავალდებულებს კომპანიებს თანამშრომლებს გარკვეული შეღავათები, როგორცაა წლიური პრემიების ან სამედიცინო დაზღვევა.

საერთაშორისო კომპანიების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიძლება დადგინდეს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში ორგანიზაციული კულტურისა და ადამიანური რესურსების მართვის ხარჯები უფრო მაღალია, ვიდრე ეროვნულ კომპანიებში. ამავდროულად, ეს ხარჯები გამართლებულია, რადგან საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მისი განვითარების განვითარებაში მძლავრი ფაქტორი გამოიყენება. ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებაში და ადამიანის კაპიტალის განვითარება საერთაშორისო კომპანიაში ეკონომიკურად გამართლებულია: ადამიანური განვითარების ხარჯები არამატერიალურ აქტივებში

მთლიანად კომპანიის ეფექტურობა, კომპანიის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება და მისი სტრატეგიული განვითარების წარმატების საფუძველი.

საერთაშორისო კომპანიების პროდუქციის უნივერსალიზაცია, ნებისმიერი კულტურულ გარემოსთან ადაპტირება, მსოფლიო ბაზარზე საერთაშორისო მრავალეროვნული კომპანიის აქტიური ხელშეწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

თავი 2. თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართულობა საერთაშორისო ბიზნესში

2.1 ინტერნეტ ბიზნესის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები

თანამედროვე საზოგადოება ინტერნეტის გარეშე ვერ წარმოიდგენს. როგორც პოპულარიზაცია და გავრცელება, მსოფლიო ქსელი გახდა ბიზნესის განუყოფელი ნაწილი. ცოტა ხნის წინ, ბიზნესმა დაიწყო თავისი პოზიციის განმტკიცება ინტერნეტში. 2013 წელს ინტერნეტის ხელმისაწვდომობით კომპიუტერული ქსელების მომხმარებელთა რიცხვი დაახლოებით 2.5 მილიარდს შეადგენდა, რაც სხვადასხვა სახის მომსახურებისა და საქონლის ხელშეწყობის ნაყოფიერი საფუძველია.

მოთხოვნა ქმნის მიწოდებას. კლიენტთა საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, სპეციალური მომსახურება, მაღაზიები და ა.შ. შექმნილია ნებისმიერი კომპანია, ფირმა, მაღაზია ან სალონი აიძულებენ საკუთარ ვებ-გვერდს ისე, რომ პოტენციურ

მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს მომსახურების ან საქონლის მიმწოდებელი, ონლაინ გვერდების მეშვეობით....

ბიზნესის სახეები ინტერნეტში

არსებობს სხვადასხვა სახის ბიზნეს ინტერნეტში, მაგრამ მათ აერთიანებთ ის ფაქტი, რომ ეს არის ბიზნეს პროცესები, რომლებიც მიზნად ისახავს პროდუქციის / მომსახურების მწარმოებლებისა და მათი გამყიდველების, მომხმარებლებისა და მომწოდებლების ინტეგრირებას მსოფლიო მაშტაბით, რაც დამოკიდებულია ინტერნეტის გავრცელებაზე.

კომპანიების საიტები . იყოფა 2 ტიპის:

1. რეალურ ბიზნესზე - ოფლაინ ბიზნესი,
2. ონლაინ ბიზნეს-ბიზნესი, ინტერნეტით განვითარება.

პირველი ტიპი გულისხმობს სავიზიტო ბარათის არსებობას, რომელიც შეიცავს ზოგადი ინფორმაციას კომპანიისა და მომსახურების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაციას.

მეორე სპეციფიკური მომსახურება და მომსახურება პირდაპირ ქსელში, ანუ მომსახურება ხდება ოფისის გარეშე ვირტუალურ ქსელში . მაგალითად, საიტი sms mailings , მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს და შეუკვეთოს მომსახურება.

ინტერნეტ მაღაზიები . ასეთი ბიზნესიდან გამომდინარე აუცილებელია გაყიდული პროდუქციის სახეობა და ბაზარზე არსებული სიტუაციის შესწავლა, რათა გავიგოთ, თუ რა ნიშას იკავებს. ზოგიერთი პროდუქტი არ სარგებლობს ფართო პოპულარობით, მაგალითად, ნებისმიერი მაღაზიაში ხელმისაწვდომი საკვები. მაგრამ პროდუქტი, რომელიც არ არის საკმარისი რაოდენობით,

წარმატებული იქნება (უცხოური საქონელი, რომელიც პრაქტიკულად არ შემოდის ქვეყანაში).

რეკლამასთან დაკავშირებული ბიზნესი . გაყიდვის სარეკლამო სლოტი და პირდაპირ რეკლამირება. რეკლამა ინტერნეტში ხდება:

კონტექსტი

ბანერი

ლიტერატურა, უფრო სწორად მათი შექმნა ან გაყიდვა . ეს ქმედებები ხელს შეუწყობს საიტზე საძიებო სისტემების პოპულარიზაციას ან ფულის შოვნის შესაძლებლობას.

ფასიანი სტატიების განთავსება, სადაც განთავსდება სხვა საიტებზე განთავსება.

გადახდა და საბანკო სისტემა, რომელიც ახორციელებს რეალურ დროში ოპერაციებს სპეციალისტების ჩარევის გარეშე. ადამიანს შეუძლია განახორციელოს ელემენტარული მოქმედებები ფულით: ფულადი სახსრების გაცვლითი და დაგროვება ვებ-ჩანთაში, შესყიდვებისა და მომსახურებისათვის გადახდა. ასეთი სისტემების მფლობელობაშია ინტერნეტში შემოსავლის ერთ-ერთი სახეობა.

ბიზნესის უპირატესობები ინტერნეტში

როგორც ნებისმიერი ბიზნესი, ინტერნეტ ბიზნესი თავისი ნაკლოვანებები და უპირატესობები აქვს. ინტერნეტის ბიზნესის უპირატესობები ძალიან ბევრია.

მსოფლიო მასშტაბის საქმიანობა . საიტი უზრუნველყოფს მომსახურებას ნებისმიერ მომხმარებელისათვის, არსებობს პარტნიორებთან მოლაპარაკების შესაძლებლობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით . ეს არის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა ინტერნეტ ბიზნესის.

ხელმისაწვდომობის თავისუფლება . ამჟამად მსოფლიო ქსელში ხელმისაწვდომობა შესაძლებელია პრაქტიკულად მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ტექნოლოგიების განვითარებასა და ახალი საკომუნიკაციო მოწყობილობების (სმარტფონებისათვის, ტაბლეტების) გაღრმავებაზე.

თავისუფლების დრო . ბიზნესის მფლობელი გადაწყვეტს, რამდენად რთულია მასთან მუშაობა. ბიზნესის განვითარების საწყის ეტაპზე აუცილებელია დაუღალავად მუშაობა, სანამ შედეგი არ იქნება ხელშესახები.

გუნდის ნაკლებობა . არაკომერციულ ადამიანებს, რომელთაც სურთ მუშაობა საკუთარი თავისთვის, ეს იდეალურია. ყოველივე ამის შემდეგ, არიან ადამიანები, რომლებიც ადვილად ითანამშრომლებიან და ზოგს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, ამიტომ ხალხი დამოუკიდებლად მუშაობას ამჯობინებს კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

პროექტის დაწყების მინიმალური ხარჯები . რეალურ ცხოვრებაში ახალი ბიზნესის გასახსნელად საჭიროა ინტერნეტის ბიზნესთან შედარებით უზარმაზარი ხარჯები, რომელთა ორგანიზაციამ დაგჭირდათ: კომპიუტერი, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ცოდნისა და იდეების ამოუწურავი წყარო. თუ არ მიიღებთ სწორად ცოდნას დროულად და არ ვრცელდება, პროექტი განწირულია წარუმატებლობისთვის. ბიზნესის განვითარებისა და წარმატებისთვის, ჩვენ გვჭირდება ახალი იდეები და ახალი მიდგომები, მობილურობა ბიზნესის კეთების ტექტიკის შეცვლით.

შემოსავალი . მოგების ზედა ხაზი არ არის ფიქსირებული, შეგიძლიათ უფრო მეტი და უფრო მეტი ანაზღაურდეს ან შეაჩერონ, რაც მიღწეულია.

მაღალი დონის მომსახურება . ინტერნეტით სარგებლობის საშუალებაა ის, რომ არ არსებობს სახელმწიფოებისა და ქალაქების საზღვრები. მაგალითად, მომხმარებელს შეუძლია მიიღოს ბრძანება ფოსტით ან კურიერული სამსახურის მიერ, თუ არ არსებობს პროდუქტი საზოგადოებრივ დომენში. არსებობს შესაძლებლობა ისწავლოს პროდუქტის ან მომსახურების შესახებ კითხვების განხილვა და დისკუსიები ფორუმის შესახებ, რომლის გადახდაც შესაძლებელია ინტერნეტში.

კონკურენტუნარიანობა . ცოტა ხნის წინ გამოჩნდა სერვისები, რომელთა კონკურენცია უკვე რამდენიმე წელია არსებობს ბაზარზე. ინტერნეტ კლიენტებს

შეუძლიათ მიიღონ მომსახურება "ახალბედა", რომელიც სწრაფად პასუხობს მოთხოვნას, რომელიც ზოგჯერ ვერ დაველოდებით.

ინტერნეტ ბიზნესის ნაკლოვანებები:

ინტერნეტის ბიზნესის ნაკლოვანებები არ არის ბევრი, ზოგი მათგანი უმნიშვნელოა ან ადვილად გადასაჭრელია.

არასტაბილური შემოსავალი . მას შემდეგ, რაც შემოსავლის ქვედა ხაზი არ არის ფიქსირებული, ხანდახან მოგება დგას. ბიზნესის პირველ ეტაპზე ბევრი ფული არ მოიტანოს, თუმცა ამ სირთულეების დაძლევა შესაძლებელია ძალიან დამაკმაყოფილებელ ხელფასზე. ეს ნაკლოვანება ყველაზე მნიშვნელოვანია.

შებლუდვა მოქმედების სფეროში . ზოგიერთ ქვეყანაში და ქალაქებში არ არის მომსახურების წახალისება. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა მიზეზით, განუვითარებელი ბაზარი, დაბალი შეძენა , მაღალი კონკურენცია და ა.შ. **ოპტიმიზაციის მაღალი ღირებულება** . კომპიუტერული სისტემების განახლება, ტრენინგის პერსონალი და განახლებადი საიტები მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს.[ო.ა.კობელევი 2006წ]

დღეს სულ უფრო და უფრო მეტი მომხმარებელი ამჯობინებს პროდუქტის ინტერნეტით შეძენას. არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი, რაც განაპირობებს ონლაინ კომერციის ამჟამინდელ წარმატებას და პერსპექტიულ მომავალს:

1. თავისუფლება და მოქნილობა – სხვაგან სად შეიძლება შეიძინო სასურველი პროდუქტი, შუალამეს, თუნდაც ღამის პერანგში გამოწყობილმა? თქვენ არ გჭირდებათ მაღაზიის კონსულტანტის დახმარება, არ ელოდებით როდის გაივლის დამღლევი რიგი და თქვენი დრო მოვა. ონლაინ მაღაზიები გვაძლევენ საშუალებას 24/7 რეჟიმში შევარჩიოთ და შევიძინოთ სასურველი პროდუქტები და მივიღოთ სახლიდან გაუსვლელად.

2. დროის ეკონომია – ონლაინ ვაჭრობა საუკეთესო გამოსავალია ადამიანებისთვის, რომელთათვისაც “დრო ფულია”. როცა მაღაზიაში მიდიხარ წინასწარ არასდროს იცი რამდენი დრო დაგეხარჯება. წარმოიდგინეთ რამდენი

პროცედურა უნდა გაიაროს, ვიდრე საყიდლებს შეიძენთ: მომზადება, დანიშნულების ადგილამდე მისვლა, საყიდლების შერჩევა, სალაროსთან ლოდინი, ხშირ შემთხვევაში საცობებში დგომა და გაუთვალისწინებელი შემთხვევები. ჩათვალეთ, რომ მთელი დღე დაკარგეთ, რადგან გარდა ზემოთხსენებულისა, ვაჭრობის დასრულების შემდეგ, ენერჯისგან დაცლილი ხართ. ონლაინ შეძენის შემთხვევაში ამ ყველაფერში მხოლოდ რამდენიმე წუთი დაგჭირდებათ და ამასთან ერთად პროდუქციას სასურველ დროს სახლში მოგართმევენ. თქვენ შეგიძლიათ თამამად დაგეგმოთ ძვირფასი დღე, დაუთმოთ დრო საყვარელ ადამიანებს და თქვენი ენერჯია მეტად პროდუქტიულად მოიხმაროთ.

3. უკეთესი ფასები – ხშირ შემთხვევაში, ონლაინ მოვაჭრეები პროდუქციას პირდაპირ მწარმოებლებისგან იღებენ. შუამავლის არ არსებობა არსებული პროდუქციის შედარებით დაბალ ფასებს განაპირობებს. გარდა ამისა ონლაინ მარკეტები ხშირად აწესებენ ფასდაკლებებს პროდუქციაზე, რის შესახებაც სახლიდან გაუსვლელად შეგვიძლია გავიგოთ.

4. ასორტიმენტი – მოსახერხებელი ინტერფეისის და ძეხვის ფუნქციის საშუალებით, თქვენ მარტივად იპოვნით სასურველი პროდუქტს. ონლაინ მაღაზიებში განთავსებული სხვადასხვა ბრენდების და მწარმოებლების პროდუქტების დიდი ასორტიმენტი, რაც მომხმარებელს ფართო არჩევანის შესაძლებლობას აძლევს.

5. დანახარჯები – ხშირ შემთხვევაში, მაღაზიაში წასვლისას უფრო მეტი გვეხარჯება, ვიდრე ველოდით. მაგალითად, ჭამა, გზის ხარჯი და დაუგეგმავი შენაძენები. გარდა ამისა, მაღაზიაში საყიდლების საერთო საფასურის შესახებ ინფორმაციას სალაროსთან რიგში დგომის შემდეგ იგებთ. ონლაინ კომერცია კი საშუალებას გაძლევთ არამარტო დაზოგოთ ზემოთხსენებული დანახარჯები, არამედ შესაძლებლობა გეძლევთ შეძენამდე დაარედაქტიროთ თქვენი “საყიდლების ელექტრონული სია” და საფასური თქვენს ბიუჯეტს მოარგოთ.

6. **ფასების შეღარება** – ინტერნეტი ფასების გამჭირვალობას უზრუნველყოფს. ინტერნეტის საშუალებით მარტივად შევიძლიათ გადაამოწმოთ იგივე პროდუქტის ფასი სხვადასხვა მაღაზიებში და არჩევანიც ანალიზის შედეგად გააკეთოთ.

7. **კონფიდენციალურობა** – ხშირად მაღაზიაში ვაჭრობა გარკვეულ უხერხულობასთან ასოცირდება. არავის უყვარს როგორც აკვირდებიან მის არჩევანს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ინტიმურ პროდუქტს ეხება. ონლაინ ვაჭრობის შემთხვევაში, მკაცრად დაცულია კონფიდენციალობის პოლიტიკა, ინტიმური შენაძენების შემთხვევაში კურიერმაც არ იცის რა მოაქვს თქვენთან.

8. **რიგები** – ჩვენ გვინევს რიგის დაცვა, ვკარგავთ უამრავ დროს და ენერჯიას, ვეძებთ ავტომობილის პარკინგის ადგილს და უკან მძიმე პროდუქციით სავსე ჩანთებით ვბრუნდებით.

9. **არასასურველი შენაძენები** – ჩვენ ხშირად ვბრუნდებით მაღაზიიდან დაუგეგმავი შენაძენებით, ვეცხვით ნიჭიერი გამყიდველის ზემოქმედების ქვეშ და ვხარჯავთ იმაზე მეტს, ვიდრე გვინდოდა.

10. **მომსახურების და პროდუქციის ხარისხი** – პირველი ონლაინ მომხმარებლისთვის ყველაზე დიდი დაბრკოლებაა მომსახურების და პროდუქციის ხარისხია. ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რამდენად კარგად შეარჩევს სხვა ჩვენთვის სასურველ პროდუქციას. თუმცა არსებობს საინტერესო პარადოქსი, რომელსაც ონლაინ კომერცია გვთავაზობს. მე მას “პასუხისმგებლობისა და შთაბეჭდილების ეფექტს” ვუნოდებდი. კარგი ონლაინ მაღაზიები პასუხისმგებლობით ეკიდებიან პროდუქციის ხარისხის თემას, რადგან:

- ონლაინ ბიზნესის წარმატება მეტწილად შთაბეჭდილებებზეა დამოკიდებულია, ამიტომაც კარგი ონლაინ მაღაზიები მუდმივად ზრუნავენ, რომ მოლოდინებს გადააჭარბონ, რაც მათ გრძელვადიან წარმატებას უზრუნველყოფს.

- ინტერნეტი თავისი გამჭირველე ბუნებიდან გამომდინარე ცუდი ხარისხის აღმოფხვას განაპირობებს, ადამიანები აფასებენ პროდუქტს და ბიზნესს, კითხულობენ განხილვებს ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში, რასაც ყველა რაციონალურად მოაზროვნე ონლაინ მოვაჭრე აცნობიერებს;

- მიწოდებული პროდუქციის ხარისხზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ონლაინ მაღაზიას ეკისრება, მაშინ როცა მაღაზიაში მომხმარებელი პროდუქტს თავად არჩევს!

- ბოლო წლებში, აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში ელექტრონული ვაჭრობა ყოველწლიურად 12%-ით იზრდება. გაყიდვებმა 3.2 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ელვაჭრობის წარმატებისათვის, საერთო ვალუტაში ანგარიშსწორებასა და ტელეკომუნიკაციების სფეროს ლიბერალიზაციას, დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველი კომპონენტი აშშ-საც გააჩნია და ევროკავშირსაც, ხოლო მეორე კომპონენტი ამ უკანასკნელის შემთხვევაში პრობლემურია. მის ფარგლებში დარეგისტრირებულ ბიზნესს, ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნის ელექტრონულ ბაზარზე შესვლა 15 ათასი ევრო უჯდება. ეს თანხა მოიცავს იურიდიული მომსახურების, თარგმნისა და ოპერირების ხარჯებსაც. ამასთან, შეიძლება ბიზნესს სხვა წევრი სახელმწიფოს ბაზარი დაკეტილი დახვდეს, რადგან მისი ქვეყნის საკონტრაქტო კანონმდებლობა არ შეესაბამებოდეს იქაურ სტანდარტებს. უცხოური ბიზნესისთვის ხარჯი კიდევ უფრო მეტად იზრდება.

პოლონეთმა ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს 6-თვიანი თავმჯდომარეობის გამოყენება გადაწყვიტა. ქვეყანამ ელექტრონული ვაჭრობის რეფორმა წინა პლანზე წამოსწია. ამისათვის, პოლონეთი ევროკავშირის ქვეყნებს ალტერნატიული კანონმდებლობის შექმნას სთავაზობს, რომლის მიხედვითაც ელექტრონული ვაჭრობისთვის საერთო წესები შეიქმნება. ელექტრონული ვაჭრობის პროგრამა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა მოიწონა. მან განაცხადა, რომ ერთიანი სავაჭრო ბაზარი ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას და ევროკავშირის ქვეყნებში კონკურენციას გაზრდის.

ევროკავშირში ელექტრონული კომერციით დაკავებული ბიზნესების აზრით, პროგრამა ხელს შეუწყობს ელექტრონული ვაჭრობის წახალისებას. თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ შეიქმნება სეგმენტური ბარიერები (მაგალითად, მომხმარებელთა დაცვის მკაცრი წესები). შესაბამისად, ყველა ბიზნესს ექნება შანსი ევროკავშირის იმ ქვეყანაში აწარმოოს ვაჭრობა, რომელიც მისთვის უფრო მიმზიდველი იქნება.[ო.ა.კობალე 2006წ]

ელექტრონული ვაჭრობა მომხმარებლისთვისაც და ბიზნესისთვისაც მომგებიანია. მომხმარებელს შეღავათიან ფასებში შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერი ინტერნეტ ბაზრის პროდუქცია 24 საათის განმავლობაში შეიძინოს. ბიზნესებს კი პოტენციური საბაზრო წილი ეზრდებათ, ეხსნებათ ბარიერები ბაზრებზე და რეკლამის ნაკლები ხარჯები აქვთ.

სხვადასხვა გათვლებით, ელექტრონული სარეკლამო მომსახურების საშუალოდ 80%-ზე მეტი ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდის. ამავე გათვლებით, ქვეყანა მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ლიდერობას შეინარჩუნებს.

პოლონეთში ელექტრონულ კომერციას 3 მილიონ ევროზე მეტი ბრუნვა აქვს. ყველაზე მეტი – მთელი შეკვეთების 23.7% – წიგნებზე და მედიაზე მოდის, ყველაზე ნაკლები – მთელი შეკვეთების 1.8% – დელიკატესებზე.

საქართველოში მხოლოდ 300 ლარზე მეტი ღირებულების მქონე ამანათების ბრუნვას ითვლიან. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ბოლო 8 თვის განმავლობაში ასეთი ამანათების რაოდენობამ 17 ათასს მიაღწია. მათი განბაჟების შედეგად, საქართველოს ბიუჯეტი დაახლოებით 4.5 მილიონი ლარით შეივსო.

ეკონომიკური ფორუმის უახლესი ანგარიშის მიხედვით, საქართველო ინტერნეტ და სატელეფონო კომუნიკაციის მიხედვით მაღალი კონკურენციის მქონე ქვეყნების (მათ შორის, მსოფლიოს ტოპ ცხრა ქვეყანა, ევროპის უმეტესი ქვეყნები, იაპონია) ჯგუფში შედის. ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების მიხედვით ყველაზე აქტიური მთავრობაა. საქართველო ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენებისა და მთავრობის ეფექტიანობის მიხედვით, მსოფლიო 50-ეულშია. ამის

უახლესი მაგალითია სახელმწიფო შესყიდვების რეფორმა, რომელიც 100%-ით ელექტრონულია. ასევე, ელექტრონული ხელმოწერის სერტიფიკატის დანერგვა, რომელიც ელექტრონულ პირადობის მონმობაში იქნება განთავსებული. ამ ნოვაციით, საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა.

ელექტრონული ვაჭრობის 95% განვითარებულ ქვეყნებში ხდება. მთლიანი ვაჭრობის 90%-ზე მეტს ბიზნესებს შორის ვაჭრობა შეადგენს.

2.2 იუსტიციის სახლი როგორც მართვის ობიექტი

იუსტიციის სახლი არის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ფარგლებში მოქცეულია სახელმწიფო სერვისების უმრავლესობა.

იუსტიციის სახლი მოქალაქეებს აწვდის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების, ასევე სხვადასხვა საჯარო უწყებებისა და კერძო სექტორის მრავალ სერვისს.

იუსტიციის სახლის მიზანია:

- მომხმარებლისათვის ერთი ფანჯრის პრინციპით სახელმწიფო და კერძო დანსებულებების სერვისების მაღალი ხარისხით მიწოდება;
- სახელმწიფო მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა;
- მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი მომსახურებების და ინოვაციური სერვისების შეთავაზება.

იუსტიციის სახლი სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმით მნიშვნელოვნად ამარტივებს საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობას და მოქალაქეების ურთიერთობას საჯარო სექტორთან.

იუსტიციის სახლის მომსახურებით, მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედ 19 ფილიალში, ყოველდღიურად 20 000-ზე მეტი მომხმარებელი სარგებლობს,

მათ შორის, როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები. იუსტიციის სახლის მომხმარებელს საშუალება აქვს, ერთ სივრცეში მიიღოს 400-მდე სახელმწიფო სერვისი. ამასთან, მომხმარებლისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნის მიზნით, იუსტიციის სახლი მუდმივად გეგმავს და ახორციელებს, სხვადასხვა - როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის სერვისების დამატებას, რათა მომხმარებლებმა ერთ სივრცეში, რაც შეიძლება მეტი სერვისის მიღება შეძლონ.

იუსტიციის სახლის თბილისის ფილიალი ადაპტირებულია მცირემხედველი და უსინათლო პირებისთვის. შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულია ტაქტილური ბილიკები, მიმართულების მანიშნებელი სადგამები ბრაილის წარწერით, სანავიგაციო ტაქტილური რუკა, ოთახის მანიშნებლები ბრაილის წარწერით, მანიშნებლები შენობაში არსებულ კიბეებსა და მინებზე. იუსტიციის სახლის 400-ზე მეტი ოპერატორი გადამზადდა შპმ პირების მომსახურების მიმართულებით. ადაპტირდა იუსტიციის სახლის ვებ-გვერდი.

იუსტიციის სახლი საზოგადოებაში მაღალი ცნობადობით და რეპუტაციით სარგებლობს, რასაც მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევებიც ადასტურებს.

NDI-ს 2017 წლის კვლევის თანახმად, ინსტიტუციების შეფასების რეიტინგში იუსტიციის სახლი მეორე ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წლის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა მიერ იუსტიციის სახლის შეფასება წლიდან წლამდე უმჯობესდება. იუსტიციის სახლს დღეში საშუალოდ 20 000-მდე მომხმარებელი სტუმრობს.

2017 წლის იანვარში, ACT-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულ მომხმარებელთა 94% იუსტიციის სახლს სტაბილურად მაღალი ხარისხის შენარჩუნებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციად აფასებს, 96% კი - სასარგებლო, ორგანიზებულ, თანამედროვე/პროგრესულ, აქტიურ - კომუნიკაბელურ, წარმატებულ ორგანიზაციად. ამავე კვლევის თანახმად, მომხმარებლებისთვის იუსტიციის სახლი აღიქმება, როგორც მეგობრული, თბილი, სანდო, საიმედო, კომპეტენტური და პროფესიონალი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი რგოლი, რომელიც:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ზრუნავს ეროვნული კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფაზე;
- ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დაცვას და კანონიერების განმტკიცებას;
- ახორციელებს პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს საზოგადოების მართლშეგნების ამაღლებას;

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედებს 11 საქარო სამართლის იურიდიული პირი:

1. აღსრულების ეროვნული ბიურო
2. დანაშაულის პრევენციის ცენტრი
3. იუსტიციის სახლი
4. იუსტიციის სასწავლო ცენტრი
5. მონაცემთა გაცვლის სააგენტო
6. სმართ ლოჯიქი
7. საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
8. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
9. საქართველოს ეროვნული არქივი
10. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
11. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები



აღსრულების ეროვნული ბიუროს მთავარი ამოცანაა სასამართლოების, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის მთავარი ამოცანაა საქართველოში დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა და რისკ ჯგუფებთან მუშაობა.



დანართი 2.1

აღსრულების ეროვნული ბიუროს ისტორია 2000 წლიდან აითვლება, მანამდე არსებობდნენ სასამართლო აღმასრულებლები, რომლებიც განთავსებულნი იყვნენ სასამართლოს შენობაში. სასამართლო აღმასრულებლები ახდენდნენ სასამართლო გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანას (აღსრულებას). სასამართლო აღმასრულებლებს საქმეები თბილისის უბნების მიხედვით ჰქონდათ განაწილებული.


თბილისის ბიურო, როგორც ერთიანი სისტემა, უბნების გარეშე 2002 წელს შეიქმნა. სააღსრულებო ბიუროს, როგორც ცალკე სამსახურის შექმნა, 1999 წლის სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის ძალაში შესვლამ განაპირობა. სააღსრულებო დეპარტამენტს კონტროლს უწევდა იუსტიციის სამინისტრო, და იგი წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს. მათ დაქვემდებარებაში იყო სააღსრულებო წარმოების განყოფილება, სადაც ხდებოდა შემოსული განცხადებებისა და პრეტენზიების განხილვა და მასზე შესაბამის რეაგირება.

აღსრულების ეროვნულ ბიუროს დღეისათვის აქვს ელექტრონული მაღაზია ვებ-გვერდზე <http://eshop.nbe.gov.ge> სადაც ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებულ საქმეებზე ქონების რეალიზაცია. მოცემული ვებ-გვერდი, ნებისმიერ თვითკურ და იურიდიულ პირს საშუალებას აძლევს სახლიდან გაუსვლელად, მისთვის კომფორტულ გარემოში, შეიძინოს სასურველი ქონება.

ქონების შესაძენად საჭიროა რეგისტრაცია/ავტორიზაცია და სასურველი ქონების სარეალიზაციო თანხის გადახდა.

ვებ გვერდზე ნივთების განთავსება ხდება მოვალისა და კრედიტორის ერთობლივი განცხადებისა და სათანადო ნების გამოვლენის საფუძველზე;

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები



საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

საქართველოს იუსტიციის სახანაველო ცენტრი

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა იცავს ნოტარიუსთა ინტერესებს, ეხმარება მათ სანოტარო საქმიანობის განხორციელებაში, ზრუნავს ნოტარიუსთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, უზრუნველყოფს ხარისხიან და ეფექტიან სანოტარო მომსახურებას.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიზნებია:

- საქართველოში სასწავლო პროგრამების (ტრენინგების) განხორციელება;
- საჯარო და კერძო დაწესებულებების ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა.

დანართი 2.2

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, არის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, დაარსებულია 1998 წელს და 2010 წლის ჩათვლით გამოიყენოდა ბეჭდური სახით.

2011 წლიდან კი საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ახალი ფორმატით მომხმარებელს სთავაზობს ყველასათვის ხელმისაწვდომ, დაცულ, მუდმივად განახლებად ოფიციალურ ვებგვერდს - matsne.gov.ge, სადაც მომხმარებელს შეუძლია იხილოს საქართველოს ყველა უწყების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტები და საჯარო განცხადებები. სწორედ matsne.gov.ge-ზე გამოქვეყნების შემდეგ იქნეს ნებისმიერი ნორმატიული აქტი ოფიციალურ იურიდიულ ძალას.

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები

საქართველოს ეროვნული არქივი
 უზრუნველყოფს ეროვნული საარქივო
 ფონდის დოკუმენტების ხელმისაწვდომობას,
 დაცვასა და შევსებას.



საქართველოს ეროვნული არქივი
 NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA



საქართველოს საკანონმდებლო მაცნე უზრუნველყოფს
 ნორმატიული აქტების სისტემატიზაციას, რეგისტრაციას
 და მათ ოფიციალურ გამოქვეყნებას.

დანართი 2.3

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები



საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
 ახორციელებს ქონებისა და ბიზნესის რეგისტრაციის
 სისტემის, სივრცითი ინფორმაციის
 ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მართვას.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს
 ფუნქციაა, სახელმწიფო მომსახურების
 განვითარების ხელშეწყობა, ინოვაციური
 სერვისების დანერგვა საჯარო სექტორში,
 მოსახლეობის რეესტრის წარმოება და მასთან
 დაკავშირებული დოკუმენტების გაცემა.



სახელმწიფო სერვისების
 განვითარების სააგენტო

დანართი 2.4

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მომხმარებლებს საშუალებას აძლევს სახიდან გაუსვლელად ერთი ფანჯრის პრინციპით, ონლაინ ვებ გვერდის დახმარებით მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, გააკეთონ განაცხადი სასურველ დოკუმენტის დასამზადებლად და ისარგებლონ ასევე ფოსტის მომსახურებით, რომელიც უზრუნველყოფ დოკუმენტის ადგილზე მიტანას, ასევე შესაძლებლობა აქვთ იგივე მომსახურებები მიიღონ საზღვარგარეთ მყოფმა პირებმაც (ემიგრანტებმა)

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ფუნქციები სამ პირითად მიმართულებად იყოფა:

- ელექტრონული მმართველობა;
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა;
- ინფორმაციული უსაფრთხოება.

საპარტოველოს ინსტიტუტის სამინისტრო
აონაცემთა გაცვლის
სააგენტო

SMART
იუსტი

„სმარტ ლოჯიკი“ ხელს უწყობს სახელმწიფოს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვასა და მათი საშუალებით სახელმწიფოს გამართულ ფუნქციონირებას.

დანართი 2.5

მონაცემთა გაცვლის სააგენტო უზრუნველყოფს სახელმწიფო სტრუქტურების ადმინისტრირების და მათი ფუნქციების განხორციელების ეფექტური და თანამედროვე ფორმას, რაც მოიცავს: სახელმწიფოსა და მოქალაქეს, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ურთიერთობის ელექტრონულ ფორმებს.

დღეისათვის სხვადასხვა სახელმწიფო უწყება უკვე ფლობს არაერთ მომსახურებას, რომელსაც ელექტრონული ფორმით სთავაზობს სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებს. ელექტრონული სერვისი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ ყველაზე იაფ, მოხერხებულ და სწრაფ მომსახურებას. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა არსებული და სამომავლოდ დაგეგმილი მომსახურებების ერთიან სისტემაში მოქცევა და მათი ადმინისტრირება.

სსიპ „იუსტიციის სახლი“ არის საჯარო დაწესებულება, რომელიც მოსახლეობას აწვდის სახელმწიფო სერვისების დიდ უმრავლესობას.

იუსტიციის სახლის მიზანია მომხმარებლისათვის ერთი ფანჯრის პრინციპით სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების სერვისების მაღალი ხარისხით მიწოდება

იუსტიციის სახლი ასევე ზრუნავს, მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი მომსახურების და ინოვაციური სერვისების შეთავაზებაზე.




დანართი 2.6

მონაცემთა გაცვლის სააგენტო

მოქალაქის პორტალი - MY.GOV.GE

მონაცემთა გაცვლის სააგენტო my.gov.ge რომელიც მომხმარებლებს ეხმარება მისი პირადი ინფორმაციის ნახვაში, არ აქვს მშპ-ს მფლობელობა ინფორმაცია ეხება საჯარო თუ სამოქალაქო საკითხებს, ასევე აღსრულებასაც რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ჯარიმის სახით, my.gov.ge ხელს უწყობს მოქალაქეს უზრუნველყოს მისი ვალდებულებები შესბამისი დროის ფარგლებსა და ვადებში



დანართი 2.7

მარკეტინგისა და მომსახურების განვითარების სამსახური

- ბრენდის „იუსტიციის სახლი“ განვითარებაზე ზრუნვა;
- იუსტიციის სახლის საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესის მართვა;
- მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელების ორგანიზება;

- სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულების სერვისები ს იუსტიციის სახლში დანერგვის უზრუნველყოფა;
- არსებული სერვისების/პროგრამების, მიმდინარე პროცესების გაუმჯობესება;
- გაყიდვების გეგმისა და სტრატეგიის შემუშავება და მისი განხორციელების უზრუნველყოფა.

შიდა აუდიტის სამსახური :

- იუსტიციის სახლის სამსახურებისა და ფილიალების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან და მოქმედ სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება/მონიტორინგი;
- სამსახურში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების განხილვა, იუსტიციის სახლის თანამშრომელთა მიერ ჩადენილი დარღვევების ფაქტებზე სატელეფონო შეტყობინებების მიღება და შესაბამისი რეაგირება;
- იუსტიციის სახლის თანამშრომელთა სამსახურებრივი დისციპლინის შემოწმება, გამოვლენილი დისციპლინური გადაცდომების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციებისა და პრევენციული წინადადებების შემუშავება და აღმასრულებელი დირექტორისთვის წარდგენა.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური:

- ადამიანური რესურსების მოზიდვა, შერჩევა/დაქირავების პროცესის ორგანიზება და მართვა;
- იუსტიციის სახლსა და თანამშრომლებს შორის შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმიანობის სათანადო დოკუმენტური გაფორმება და თანამშრომლების პირადი საქმეების წარმოება;

- თანამშრომელთა მოტივაციის და შეფასების სისტემების შექმნა, დანერგვა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;

- თანამშრომელთა მიერ შრომით პირობებთან დაკავშირებით დასმული საკითხების განხილვა და შესაბამისი რეაგირება.

